ᲕᲣᲮᲔᲚᲛᲫᲦᲕᲐᲜᲔᲚᲝᲗ
ᲙᲝᲜᲙᲠᲔᲢᲣᲚᲐᲓ, ᲡᲐᲥᲛᲘᲡ ᲪᲝᲓᲜᲘᲗ

ᲩᲕᲔᲜᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲐ ᲨᲔᲛᲝᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲞᲐᲠᲢᲘᲐᲐ. მისი ძირითადი ღონისძიებანი და ყურადღება მიპყრობილია წარმოებისადმი — ახალი საზოგადოების მშენებლობის მთავარი, გადამწყვეტი რგოლისადმი.

პარტიული ორგანიზაციებისა და მათი ხელმძღვანელი ორგანოებიც ორგანიზაციული სტრუქტურის გარდაქმნა, რაც სკკპ ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის შემდეგ განხორციელდა, გვიჩვენებს, რომ ჩვენი პარტია ლენინური რევოლუციური გაჟღენთილია და გაბედულებით სრულყოფს ეკონომიკის პარტიულ ხელმძღვანელობას, უფრო კვალიფიციურს, კონკრეტულსა და მიზანსწრაფულს ხდის მას. საწარმოო პრინციპით შექმნილი პარტიული კომიტეტები უფრო მიუახლოვდნენ საწარმოებს, მშენებლობებს, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს.

პარტიის ახლადარჩეული სამრეწველო საოლქო კომიტეტები, სამრეწველო-საწარმოო პარტკომები, აგრეთვე პარტიის საქალაქო კომიტეტები და საქალაქო რაიკომები პარტიული ორგანიზაციების ძალებსა და ყურადღებას ახმარენ მრეწველობისა და მშენებლობის უმნიშვნელოვანესი ამოცანების გადაწყვეტას, სულ უფრო ღრმად სწვდებიან წარმოების ეკონომიკასა და ტექნიკას, საქმის დიდი ცოდნით წყვეტენ პრაქტიკულ საკითხებს. წარმოება ნამდვილად ხდება პარტიული ორგანოების საქმიანობის მთავარი სფერო. ისინი მიუახლოვდნენ მატერიალური წარმოებას, მშრომელთა კოლექტივებს და ახლა უფრო ეფექტიან ზემოქმედებას ახდენენ სამეურნეო მშენებლობის ყველა მხარეზე.

რით დაიწყო მუშაობა, მაგალითად, ლიპეცკის სამრეწველო საოლქო კომიტეტმა? საწარმოებისა და მშენებლობების მუშაობის ღრმა კრიტიკული ანალიზით, მოწინავეთა დონემდე ჩამორჩენილთა აუვანით. ლიპეცკის საოლქო პარტკონფერენციამ ახალ საოლქო კომიტეტს მოსთხოვა მიაღწიოს იმას, რომ 1963 წელს ოლქში არ იყონ ჩამორჩენილი საწარმოები. სამრეწველო საოლქო კომიტეტი, რომელიც ასრულებს კომუნისტების განაწესს, ყოველმხრივ გაერკვა მთელ რიგ საწარმოთა ჩამორჩენის მიზეზებში. განსაკუთრებული ყურადღება დაუთმო ნოვოლიპეცკის მეტალურგიულ და სატრაქტორო ქარხნებს. შემოწმების შედეგები განიხილეს პარტიულმა კრებებმა. დიდი ეფექტი მოჰყვა წარმოების რეზერვების მასობრივ დათვალიერებას. საწარმოთა პარტიული ორგანიზაციებისა და კოლექტივების დახმარებით დაიპყრა და ხორციელდება ქმედითი ღონისძიებანი საწარმოთა ჩამორჩენის დასაძლევად. და აი პირველი შედეგები: ერთ თვეში ბევრად შეჩქარდა ჩამორჩენილ საწარმოთა რიცხვი. ნოვოლიპეცკის მეტალურგიულმა და სატრაქტორო ქარხნებმა წარმატებით შეასრულეს იანვრის გეგმა.

კარგია, რომ ბევრმა პარტიულმა ორგანომ თავისი საქმიანობა ჩამორჩენილ საწარმოთა წინწამოწევით დაიწყო. აქ პროდუქციის გამოშვების გადიდების უდიდესი რეზერვია. მართლაც, მართლა უკრაინაში მრავალი ასეული საწარმო შარშან ვერ ასრულებდა საგეგმო დავალებებს. ჩამორჩენილი ფაბრიკა და ქარხანა ცოტა როდია რუსეთის ფედერაციაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, აზერბაიჯანსა და სხვა რესპუბლიკებში. ავიღოთ ასეთი განსაცვიფრებელი ფაქტი. ყარაგანდის ოლქის მრეწველობამ საერთო პროდუქციის 1962 წლის გეგმა ვადამდე, 20 დეკემბერს შეასრულა, მრავალი მილიონი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია გამოუშვა. მაგრამ რა იმალება გარეგნულად მშვიდობიან ამ საშუალო მაჩვენებლებში? საკმაოდ უბადრუკი სურათი: საწარმოთა მესამედს არ შეუსრულებია საწარმოო გეგმები. რამდენი პროდუქცია დაკარგა ქვეყანამ ამის გამო!

აღარ შეიძლება ასე ბევრი საწარმოს ჩამორჩენის მოთმენა. ეს სერიოზული ზარალს აყენებს ჩვენს სახალხო მეურნეობას. ახალი პარტიული კომიტეტების უპირველესი საქმეა დაეხმარონ ჩამორჩენილი ქარხნებისა და ფაბრიკების კოლექტივებს აღმოფხვრან ჩამორჩენა. საჭიროა, რომ შეიდწლედის მეხუთე წლის გეგმა წარმატებით შესრულოს ყველა საწარმომ და მშენებლობამ ყველა მაჩვენებლის მიხედვით. ამ ამოცანის გადაწყვეტას უნდა დაექვემდებაროს სამრეწველო პარტიული ორგანიზაციების, მრეწველობასა და მშენებლობაში დასაქმებული კომუნისტების მთელი ოთხმილიონნახევარიის საქმიანობა. ახალი მიჯნების მიღწევას უნდა მოხმარდეს ყველა საწარმოო კოლექტივის, თვითეული საბჭოთა მშრომელის დაუშრეტელი შემოქმედებითი ინიციატივა და შრომითი აქტივობა.

ᲞᲠᲝᲚᲔᲢᲐᲠᲔᲑᲝ ᲧᲕᲔᲚᲐ ᲥᲕᲔᲧᲜᲘᲡᲐ, ᲨᲔᲣᲠᲗᲓᲘᲗ!

ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲘ

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲡᲢᲣᲠᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲡᲐᲒᲑᲭᲝᲒᲘᲡ ᲝᲠᲒᲐᲜᲝ

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

ᲒᲐᲛᲝᲪᲔᲛᲘᲡ 43-Ე ᲬᲚᲘᲡ № 43 (12555) | ᲝᲗᲮᲨᲐᲑᲐᲗᲘ, 20 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲐᲚᲘ, 1963 Წ. | ᲤᲐᲡᲘ 2 ᲙᲐ�პ.

ᲞᲠᲐᲕᲓᲐ

19 ᲗᲔᲑᲔᲠᲕᲚᲘᲡ ᲛᲝᲬᲘᲜᲐᲕᲔ

ᲛᲝᲡᲐᲛᲖᲐᲓᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲛᲘᲜᲘᲡᲢᲠᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗ

ᲓᲘᲓᲘ ᲞᲝᲚᲘᲢᲘᲙᲣᲠᲘ ᲐᲦᲛᲐᲕᲚᲝᲑᲘᲗ ᲛᲘᲛᲓᲘᲜᲐᲠᲔᲑᲡ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲣᲛᲐᲦᲚᲔᲡᲘ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲐᲓᲒᲘᲚᲛᲝᲥᲛᲔᲓᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲔᲑᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲡᲐᲮᲔᲚᲔᲑᲣᲚᲘ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲘᲡ ᲙᲐᲜᲓᲘᲓᲐᲢᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲗᲐ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲕᲘᲡ ᲛᲘᲫᲦᲕᲜᲘᲚᲘ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲓᲐ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲡᲠ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲗᲐ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢᲗᲐ ᲡᲐᲑᲭᲝᲡ ᲓᲔᲞᲣᲢᲐᲢ

ხალხის კანდიდატები

(დასასრული)

ქუთაისის აბრეშუმის კომბინატის კოლექტივმა გადაწყვიტა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად წერეთლის № 234 საარჩევნო ოლქში დასახელოს სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრი, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი **ფრილ რომანის-ძე კოზლოვი** და ქუთაისის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე **უჩა ფოკას-ძე ცქვიტინიძე.**

ქუთაისის სალოკომოტივო დეპოს კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ძერჟინსკის № 233 საარჩევნო ოლქში დასახელა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის განყოფილების გამგე **შოთა მოსეს-ძე ბეზარაშვილი.**

ედუარდ ამბროსის-ძე შევაჯლაძე — საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის პირველი ძაისის რაიკომის პირველი მდივანი თბილისის № 1 თამბაქოს ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეებმა დასახელეს საქართველოს უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის ნინოშვილის № 20 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს სახელმწიფო ფილარმონიის კოლექტივმა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის მარჯანიშვილის № 21 საარჩევნო ოლქში დასახელა კომპოზიტორი **რევაზ ილიას-ძე ლადიძე.**

თბილისის აბრეშუმსაქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქალაქ თბილისის სამრეწველო № 38 საარჩევნო ოლქში დასახელა საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კიროვის რაიონის პირველი მდივანი **თენგიზ ეფრემის-ძე ბელტიხინი.**

თბილისის ქარხანა „ელექტროავტომატის“ მუშებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად სამასი არაგველის № 39 საარჩევნო ოლქში დასახელეს კომუნისტური შრომის ბრიგადის ხელმძღვანელი **ზაურ მიხეილის-ძე რუსია.**

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს კოლექტივის საერთო წინასაარჩევნო კრებამ საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ლესელიძის № 41 საარჩევნო ოლქში დასახელა რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს სახელმწიფო საგეგმო კომისიის თავმჯდომარის მოადგილე **სიმონ სევერიანის-ძე ლორთქიფანიძე.**

ხუცუბნის № 375 საარჩევნო ოლქში საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად დასახელებულია ოჩხამურის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დირექტორი, საქართველოს სსრ დამსახურებული აგრონომი, სოციალისტური შრომის გმირი **ივანე სამსონის-ძე ფუთურიძე.**

ჩაქვის რაიონის სოფელ დაღვის კოლმეურნეობის თავჯდომარე **გერასიმე პაიოტის-ძე ანდრიადი** დასახელებულია საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ატენის № 91 საარჩევნო ოლქში დასასახელა გორის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების საწარმოო სამმართველოს უფროსი **იაკობ ალექსის-ძე ტოლიაშვილი.**

გორის რაიონის ქვემო ჭალის სასოფლო-სამეურნეო არტელის კოლმეურნეებმა და მექანიზატორებმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ქვემო ჭალის № 82 საარჩევნო ოლქში დასახელეს **ნიკოლოზ მიხეილის-ძე ხმარიშვილი** — მებაღეობის, მევენახეობისა და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დირექტორი.

თბილისის კოტინის წინდის ფაბრიკის მუშა-მოსამსახურეთა კრებამ ერთსულოვნად დაადგინა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად პუშკინის № 42 საარჩევნო ოლქში დასახელოს ფაბრიკის მუშა **ნინო მიხეილის ასული პანკოვა.**

ნინო შალვას ასული რამიშვილი — რესპუბლიკის სახალხო არტისტი დასახელებულია საქ. სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად საქართველოს ხალხური შემოქმედების რესპუბლიკური სახლის კოლექტივისაგან ქ. თბილისის ბარათაშვილის № 43 საარჩევნო ოლქში.

საქართველოს მწერალთა კავშირის კრებამ დაადგინა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქ. თბილისის კალინინის № 33 საარჩევნო ოლქში დასახელოს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის კალინინის რაიკომის პირველი მდივანი **ვახტანგ იოსების-ძე ნინოშვილი.**

საქართველოს სსრ მშენებლობის საქმინისტროს კოლექტივმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ბოლოდროვის № 35 საარჩევნო ოლქში დასახელა „მთაავართბილმშენის“ მმართველი **გივი სერგანიონის-ძე შენგელია.**

თბილისის გრიბოედოვის სახელობის სახელმწიფო რუსული დრამის თეატრის კოლექტივმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქ. თბილისის მოსკოვის № 36 საარჩევნო ოლქში დასახელა თეატრის მსახიობი **თამარ ვასილის ასული ბელოუსოვა.**

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო თეატრის კოლექტივისაგან საბჭოთა საქართველოს ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად რუსთაველის № 37 საარჩევნო ოლქში დასახელებულია თეატრის სოლისტი **თენგიზ ვარლამის-ძე მუშაუდიანი.**

ნავთლუღის რკინიგზის სადგურის რკინიგზელებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ჯაფარიძის № 60 საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს კომპარტიის თბილისის ორგანიზაციის 26 კომისრის სახელობის რაიკომის პირველი მდივანი **თეიმურაზ ილიას-ძე მოსაშვილი.**

გორის რაიონის სოფელ ახალქალაქის კოლმეურნეებმა რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ახალქალაქის № 81 საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ განათლების მინისტრი **თამარ ვასილის ასული ლაშქარაშვილი.**

ქუთაისის სამკერვალო ფაბრიკის მუშათა, ინჟინერ-ტექნიკურ მუშაკთა და მოსამსახურეთა წინასაარჩევნო კრებამ მიიღო გადწყვეტილება რესპუბლიკის ხელისუფლების უმაღლესი ორგანოს დეპუტატობის კანდიდატად ყულევის № 232 საარჩევნო ოლქში დასახელოს ფაბრიკის მუშაკი **ნანა ოთარის ასული ბერიძე.**

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს **არნოლდ სტეფანეს-ძე ჩიქობავა** [illegible] **ქუთაისის** პედაგოგიურ ინსტიტუტში [illegible] № 235 [illegible] **ხელსაწყოთმშენებლობის** ქუთაისის სპეციალური საკონსტრუქტორო ბიუროს კოლექტივის წინასაარჩევნო კრებაზე მიღებულია დადგენილება საქართველოს სსრ რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად თბილისის № 232 საარჩევნო ოლქში დასახელებულ იქნეს ქუთაისის საავტომობილო ქარხნის დირექტორი **შალვა დავითის-ძე კიკნაძე.**

ქუთაისის № 8 სამკერვალო ფაბრიკის მუშებმა, ინჟინერ-ტექნიკურმა მუშაკებმა და მოსამსახურეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად მაიაკოვსკის № 237 საარჩევნო ოლქში დასახელეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი **ნიკოლოზ ალექსანდრეს-ძე ბერძენიშვილი.**

თბილისის „პლასტმასის“ ქარხნის მუშა-მოსამსახურეთა კოლექტივმა რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს დეპუტატობის კანდიდატად ქდანოვის № 4 საარჩევნო ოლქში დასახელა ქალაქ თბილისის მშრომელთა დეპუტატების ლენინის რაიონის აღმასკომის თავმჯდომარე **ვარლამ სოსრამის-ძე ჯანჯღავა.** (საქდესი).

ქუთაისელ ავტომობილისტთა ნაბიჯის კვალდაკვალ

ასე ვფიქროთ ალვკვეთოთ ზარალი

მეტად გაბედული ნაბიჯი გადადგა ქუთაისის საავტომობილო ქარხნის კოლექტივმა. აქ უარი თქვეს დოტაციაზე, იბრძვიან იმისთვის, რომ მიმდინარე წელს მიიღონ რენტაბელური მუშაობის „სიმწიფის ატესტატი“. ქუთაისელთა მოწოდებამ — ფართოდ გაჩაღდეს სოციალისტური შეჯიბრება საწარმოთა რენტაბელობისთვის — მოწონება გამოიწვია გორელ ფეიქრებში.

შარშან ჩვენი კომბინატის ცხოვრებაში წინ გადადგმული ნაბიჯი იყო მეორე რიგის სართავი ფაბრიკის ნაწილობრივ ამუშავება, საქსოვი ფაბრიკის მეორე საამქროს, რიგი მეხუთე, ორთქლის ქვაბის საექსპლოატაციოდ გადაცემა. მაგრამ ვერ შეგასრულეთ წლიური სახელმწიფო გეგმა, მომხმარებლებისაგან ვიღებდით რეკლამაციებს. მზა პროდუქციის დაბალ ხარისხში გადაყვანით 54 ათასი მანეთი ზარალი მოგვივიდა. მთლიანად კი პროდუქციის რეალიზაციით ზეგეგმიური ზარალი 325 ათას მანეთს შეადგენს.

ავწონ-დავწონეთ ჩვენი შესაძლებლობანი და დავრწმუნდით, რომ წარმოებაში ზარალის თავიდან აცილება შეიძლება, თუ შიდარეზერვებს ავამოქმედებთ, შრომის ნაყოფიერებას გავზრდით და პროდუქციის თვითღირებულებას შევამცირებთ.

ვითვალისწინებთ რა ყოველივე ამას, ჩვენ, გორელი ფეიქრები, ასეთ ვალდებულებას ვკისრულობთ:

წლიურ სახელმწიფო გეგმას 26 დეკემბრისათვის შევასრულებთ და წლის ბოლომდე გეგმის გადამეტებით გამოვუშვებთ 30 ტონა ნართს, 400 ათას მეტრ ხამ ქსოვილს, 500 ათას მეტრ მზა ქსოვილს; გასულ წელთან შედარებით შრომის ნაყოფიერებას გავზრდით 1,5 პროცენტით, პროდუქციის თვითღირებულებას შევამცირებთ 2 პროცენტით.

წელს გამოვუშვებთ ჩვენი ინჟინერ-ტექნიკოსების მიერ შემუშავებულ ახალ ქსოვილებს: საკაბე „ზაფხულს“, საპერანგე „პოპლინს“, საკაბე-საკოსტუმე „ვარძიას“, „გორს“, სამავშვო საკაბეს და დიაგონალს. სულ გამოშვებული იქნება 2,5 მილიონი მეტრი ახალი სახის ქსოვილები.

რაციონალიზატორთა და გამომგონებელთა წინადადებების წარმოებაში დანერგვის გზით მივიღებთ 250 ათას მანეთ ეკონომიას; შრომის მოწინავე მეთოდების შევასწავლით 500 ახალ მუშას, ხოლო კვალიფიკაციას ავუმაღლებთ 500 მუშასა და ინჟინერ-ტექნიკოსს.

გასულ წელთან შედარებით 20 პროცენტით შევამცირებთ ქსოვილის წონითი და ზომითი ნაკრების რაოდენობას, რითაც დავზოგავთ 30 ათას მანეთს, ამასთან 1 პროცენტით ავამაღლებთ გამოშვებული მზა პროდუქციის ხარისხს, დავზოგავთ 300 ათას კილოვატ-საათ ელექტროენერგიას, წყლის, შეკუმშული ჰაერის და სათბობის დანაკარგების შემცირებით მივაღწევთ სულ მცირე 10 ათას მანეთ ეკონომიას, დავზოგავთ 30 ტონა ბამბას და 10 პროცენტ ქიმიურ და საღებავ მასალებს.

მიმდინარე წელს დამატებით გავუშვებთ 10 ათას სართავ თითისტარს და ორ ავტომატურ ნაკადურ ხაზს სართავ და გამომყვან ფაბრიკებში.

მუშათა შრომისა და საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესების მიზნით წლის პირველ ნახევარში დავამთავრებთ საწარმოებსა და საერთო საცხოვრებლებში აბანოების, სამრეცხაოების, გასახდელების, სასადილოების და სხვა საყოფაცხოვრებო ობიექტების შეკეთებასა და რეკონსტრუქციას.

ვ. სოროდა — გორის ბამბეულის კომბინატის დირექტორი, **ზ. ონნიაშვილი** — ბამბეულის კომბინატის მთავარი ინჟინერი, **ა. ჯიბრაველიშვილი** — პარტიული კომიტეტის მდივანი, **გ. რაბინოვიჩი** — პროფკავშირის საფაბრიკო კომიტეტის თავმჯდომარე, **გ. მაისურაძე** — კომკავშირის კომიტეტის მდივანი, **ი. კობაქიძე, ლ. ვართუმიაშვილი** — კომუნისტური შრომის ბრიგადების ხელმძღვანელები, **ე. გეგელაშვილი**—სოციალისტური შრომის გმირი, **ლ. ჩიკლაური** — მრთველი, **კ. შალაკვიჩი** — მწყობელი, **მ. მინდიაშვილი** — პირველი საქსოვი ფაბრიკის ინსტრუქტორი, **ი. ნორუაშვილი** — გამომყვანი ფაბრიკის მბეჭდავთა ბრიგადის ხელმძღვანელი, **ბ. ლიტიკაბინი** — ოსტატის თანაშემწე, **ზ. პეროცვა** — პირველი სართავი საამქროს უფროსი.

ქენევის თათბირზე

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტში



ქენევა, 18 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატის უ. ფოსტერის შემდეგ სიტყვა წარმოთქვა ინგლისის წარმომადგენელმა ჯ. გოდბერმა. მან, როგორც ყოველთვის, მხარი დაუჭირა თავის ამერიკელ პარტნიორს და ცდილობდა საბჭოთა კავშირისთვის გადაებრალებინა ის, რომ განიარაღების შესახებ მოლაპარაკებაში პროგრესი არ არის.

ამის შემდეგ სიტყვა აიღო სსრ კავშირის წარმომადგენელმა ვ. ვ. კუზნეცოვმა. საბჭოთა დელეგაცია, აღნიშნა მან, წუხს, რომ ინსპექციის რაოდენობის საკითხი დასავლეთის სახელმწიფოებმა მთავარ დაბრკოლებად აქციეს განიარაღების შესახებ შეთანხმების მიღწევის გზაზე.

მან ცხადყო დასავლეთის ქვეყნების დელეგატთა ის მტკიცების უსაფუძვლობა, რომ „მრავალმხრივი ატომური ძალების“ შექმნა და საფრანგეთ-დასავლეთ გერმანიის შეთანხმება თითქოს არ ნიშნავს ატომური იარაღის გავრცელებას სხვა ქვეყნებში.

18 სახელმწიფოს განიარაღების კომიტეტმა დღეკამდე სხდომაზე დოკუმენტად მიიღო „მეცნიეროა ქენევის დეკლარაცია“, რომელიც წარმოადგინა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის კონფერენციამ ნაკლებად განვითარებული ოლოგების მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისთვის მეცნიერული და ტექნიკური ცოდნის გამოყენების შესახებ.

კომიტეტის შემდეგი სხდომა დანიშნულია 20 თებერვლისათვის.

ჰასელი მოითხოვს...

ბონი, 19 თებერვალი. (საქდესი). გუშინ ბონის, თავდაცვის მინისტრი ფონ ჰასელი შეხვდა გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ფინანსთა მინისტრს დალგრიუნს. მაი ი საუბრის თემა, როგორც დაბ-ს საგაზეთო იუწყება, იყო ის, რომ „გერმანახონ სამხედრო ბიუჯეტის გადიდების შესაძლებლობანი“. გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის 1963 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტით სამხედრო ბიუჯეტი გასახარჯულია 17 მილიარდი მარკის ოდენობით. ფონ ჰასელმა, როგორც ხაზგასმულია ცნობაში, ამას წინათ განაცხადა, რომ აპირებს მოითხოვოს დამატებით 1,3 მილიარდი მარკა.

„ბანანის ბანანი“

ამერიკის ტელევიზიაში

ნიუ-იორკი, 19 თებერვალი. (საქდესი). ამერიკის ტელევიზიამ კვირას, 17 თებერვალს „კუბის დღე“ უწოდა. ამ დღეს რადიოსა და ტელევიზიის ყველა დიდმა კომპანიამ თავისი გადაცემები კუბას მიუძღვნა.

მაგალითად, სენატის საგარეო საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ ფულბრაიტმა (დემოკრატი, არკანზასის შტატის წარმომადგენელი), რომელიც გაერთიანებული ეროვნის ორგანიზაციაში ამერიკის შეერთებული შტატების მუდმივ წარმომადგენელ სტივენსონთან ერთად გამოვიდა „ამერიკენ ბროდკასტინგ კომპანის“ სატელევიზიო პროგრამით, განაცხადა: „მე არ მეშინია, რომ კუბა, როგორც ასეთი, საფრთხეს უქმნის ამერიკის შეერთებული შტატების ან დასავლეთ ნახევარსფეროს რომელიმე სხვა ქვეყნის ფიზიკურ უშიშროებას“.

ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი „ცოფიანი“ სენატორი კიტინგი (რესპუბლიკელი, ნიუ-იორკის შტატის წარმომადგენელი), რომელიც. იმავე დღეს გამოვიდა ტელევიზიით, ამტკიცებდა, თითქოს მას არასოდეს არ წამოუყენებია წინადადება კუბაში შეჭრის შესახებ.

კატინგის პოზიცია, სასტიკად დაგმო კალიფორნიის შტატის გუბერნატორმა ბრაუნმა.

თათბირი თეთრ სახლში

ვაშინგტონი, 19 თებერვალი. (საქდესი). რესპუბლიკური და დემოკრატიული პარტიების ლიდერები ამერიკის შეერთებული შტატების კონგრესში გუშინ საღამოს გამოიძახეს თეთრ სახლში პრეზიდენტ კენედისთან სათათბიროდ საგარეო პოლიტიკის საკითხებზე.

თათბირი, რომელიც გაიმართა დიდი საიდუმლოების ვითარებაში, 40 წუთს გაგრძელდა. თათბირს ორივე პარტიის ლიდერებთან ერთად ესწრებოდნენ ადგილთა [illegible] ჯონსონი და სახელმწიფო მდივანი დინ რასკი.

დემოკრატთა ლიდერმა სენატში მენსფილდმა თათბირის შემდეგ განაცხადა, რომ ამ თათბირზე დაზეერეს მონაცემების საფუძველზე საერთოდ მიმოიხილეს კუბის, აგრეთვე ზოგიერთი სხვა რაიონის მდგომარეობა.

წარმომადგენელთა პალატის წევრმა, რესპუბლიკელმა, რომელმაც არ მოისურვა დაესახელებინათ მისი გვარი, აცნობა კორესპონდენტებს, ჩემი აზრით, პრეზიდენტ კენედის „აწუხებს ის, რომ რესპუბლიკელები აკრიტიკებენ მის საგარეო პოლიტიკას, და ცდილობს ისინი დააშოშმინოსო“.

ავრიკის პრობლემები

ლეოპოლდვილი, 18 თებერვალი. (საქდესი).

კონგოს დედაქალაქში დღეს მუშაობა დაიწყო გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის V სესიამ.

აფრიკის ეკონომიური კომისიის V სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ აფრიკის ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები. სესიას მეთვალყურედ ესწრება საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის ელჩი კონგოს რესპუბლიკაში ს. ს. ნემჩინა.

სესიის მუშაობის წესის დამტკიცებისა და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შემდეგ თავჯდომარემ დამსწრეთ აუწყა, რომ სესიის სახელზე მოსულია მიმასალმებელი დეპეშები, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი.

აფრიკის ეკონომიური კომისიის V სესია განიხილავს აფრიკის ქვეყნებისათვის ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიც არის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები აფრიკაში, აფრიკის ეკონომიური განვითარებისა და დაგეგმვის ინსტიტუტის შექმნა, საფინანსო და სავალუტო პრობლემები, აფრიკის განვითარების ბანკის შექმნა, ეროვნული კადრების მომზადება და სხვა პრობლემები.

უდიდესი ინტერესით მოელიან ისეთი მომზადებული საკითხის განხილვას, როგორიც არის საერთაშორისო კონფერენცია ვაჭრობის პრობლემებზე, რომლის მოწვევაც გადაწყდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის V სესიამ.

აფრიკის ეკონომიური კომისიის სესიამ მუშაობა დაიწყო

აფრიკის ეკონომიური კომისიის V სესიის მუშაობაში მონაწილეობის მისაღებად ჩამოვიდნენ აფრიკის ბევრი ქვეყნის წარმომადგენლები. სესიას მეთვალყურედ ესწრება საბჭოთა კავშირის დელეგაცია, რომელსაც მეთაურობს სსრ კავშირის ელჩი კონგოს რესპუბლიკაში ს. ს. ნემჩინა.

სესიის მუშაობის წესის დამტკიცებისა და ხელმძღვანელი ორგანოების არჩევნების შემდეგ თავჯდომარემ დამსწრეთ აუწყა, რომ სესიის სახელზე მოსულია მიმასალმებელი დეპეშები, აგრეთვე სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავჯდომარის ნ. ს. ხრუშჩოვის წერილი.

აფრიკის ეკონომიური კომისიის V სესია განიხილავს აფრიკის ქვეყნებისათვის ისეთ დიდმნიშვნელოვან პრობლემებს, როგორიც არის ეკონომიური და სოციალური მდგომარეობა და განვითარების ტენდენციები აფრიკაში, აფრიკის ეკონომიური განვითარებისა და დაგეგმვის ინსტიტუტის შექმნა, საფინანსო და სავალუტო პრობლემები, აფრიკის განვითარების ბანკის შექმნა, ეროვნული კადრების მომზადება და სხვა პრობლემები.

უდიდესი ინტერესით მოელიან ისეთი მომზადებული საკითხის განხილვას, როგორიც არის საერთაშორისო კონფერენცია ვაჭრობის პრობლემებზე, რომლის მოწვევაც გადაწყდა გაერთიანებული ერების ორგანიზაციის აფრიკის ეკონომიური კომისიის V სესიამ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ეკონომიკურ ეკონომიკურ საბჭოს ეკონომიკურ ეკონომიკურ ეკონომიკურ

სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებული მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტისაგან

მეცნიერებისა და ტექნიკის დარგის ლენინური პრემიების კომიტეტი იუწყება, რომ 1963 წლის ლენინური პრემიების მოსაპოვებლად კონკურსში მონაწილეობისათვის დაშვებულია შემდეგი ნაშრომები:

მეცნიერების დარგში

1. **მოლოდენსკი მ. ს. „ციკლი ნაშრომებისა დედამიწის შესახებ“.**

წარმოადგინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ო. ი. შმიდტის სახელობის დედამიწის ფიზიკის ინსტიტუტმა და გეოდეზიის, აეროგადაღებისა და კარტოგრაფიის ცენტრალურმა სამეცნიერო საკვლევმა ინსტიტუტმა.

2. **პონტეკორვო ბ. მ. „ელემენტარული ნაწილაკების სუსტი ზურგთიერთმოქმედების პროგლემა და ნეიტრინოს ფიზიკა“.**

წარმოადგინა ატომური კვლევის გაერთიანებულმა ინსტიტუტმა.

3. **ალექსანდროვი ა. დ., ბორისოვი ი. ფ., ზალგალერი ვ. ა., რეშეტნიკი ი. გ. „არარეგულარულ ზედაპირთა ზოგადი თეორია“.**

წარმოადგინეს ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტმა და მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა.

4. **ვეკუა ი. ნ. „განზოგადებული ანალიზური ფუნქციები“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილებამ.

5. **კრეინი მ. გ. „მათემატიკური ანალიზის ზოგიერთი ახალი დარგის აღმოჩენა და დამუშავება“.**

წარმოადგინეს მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის მექანიკა-მათემატიკის ფაკულტეტმა და მოსკოვის მათემატიკოსთა საზოგადოებამ.

6. **ანდრიანოვი კ. ა. „ბმოკვლევა მოლეკულების არაორგანული მთავარი ჯაჭვების მქონე პოლიმერების დარგში“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელემენტორგანული შენაერთების ინსტიტუტმა.

7. **კურსანოვი დ. ნ., ვოლპინი მ. ე. „ახალი არაბენზოიდური აროგატული სისტემების გამოკვლევა“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელემენტორგანული შენაერთების ინსტიტუტმა.

8. **ტორბოვი ნ. ა., ბონდარი ი. ა., კელერი ე. კ., გოდინა ნ. ა. „ინფიციმენური ელემენტების სილიკატები“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ი. ვ. გრებენშჩიკოვის სახელობის სილიკატების ქიმიის ინსტიტუტმა.

9. **ფრეიდლინა რ. ხ. კოლიკლორნასაზირწყლებისა და მათ წარმოებულთა კომოლიზური და ჰეტეროლიზული გარდაქმნები“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ელემენტორგანული შენაერთების ინსტიტუტმა.

10. **ზენკოვიჩი ვ. ვ. „ზღვის ნაპირების განვითარების მოძღვრების საფუძვლები“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ოკეანოლოგიის ინსტიტუტმა.

11. **რუხინი ლ. ბ. „ზოგადი კალეიდოგეოგრაფიის საფუძვლები“.**

წარმოადგინა ლენინგრადის ა. ა. ჟდანოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

12. **ჟელუბოვსკაია ე. ა., კანი ს. ბ., მანფრედი ა. ზ., მოლოტი ა. ი., კრასილნიკოვი ს. ნ., პოტიომკინი ფ. ვ. „1871 წლის პარიზის კომუნა“.** (ორ ტომად).

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ისტორიის ინსტიტუტმა.

13. **კრუპნოვი ე. ი. „ჩრდილოეთ კავკასიის უძველესი ისტორია“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიის ინსტიტუტმა.

14. **ვარგა ე. ს. „იმპერიალიზმის ეკონომიკისა და პოლიტიკის ძირითადი საკითხები (მეორე მსოფლიო ომის შემდეგ)“, „მეოცე საუკუნის კაპიტალიზმი“, „თანამედროვე კაპიტალიზმი და ეკონომიური კრიზისები“.**

წარმოადგინეს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის მეცნიერებათა განყოფილებამ და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის მსოფლიო ეკონომიკისა და საერთაშორისო ურთიერთობის ინსტიტუტმა.

15. **ლეონტიევი ა. ნ. „ფსიქიკის განვითარების პრობლემები“.**

წარმოადგინა მოსკოვის მ. ვ. ლომონოსოვის სახელობის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის ფაკულტეტმა.

16. **მილოვანოვი ვ. კ. „სასოფლო-სამეურნეო ცხოველთა მოშენებისა და ხელოვნური განაყოფიერების ბიოლოგია“.**

წარმოადგინა საბჭოთა კავშირის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და აზერბაიჯანის მეცხოველეობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

17. **პეიფე ი. ვ. „სოფლის მეურნეობაში მიკროელემენტების გამოყენების თეორიულ საფუძვლთა შემუშავება და მათი დანერგვა სოფლის მეურნეობის პრაქტიკაში“.**

წარმოადგინა ლატვიის სსრ მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა.

18. **ზილბერი ლ. ა., აბელევი გ. ი. „ქიბოს ვირუსოლოგია და იმუნოლოგია“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნ. ფ. გამალეას სახელობის ეპიდემიოლოგიისა და მიკრობიოლოგიის ინსტიტუტმა.

19. **მიასნიკოვი ა. ლ. „ათეროსკლეროზი“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის თერაპიის ინსტიტუტმა.

20. **პეტროვი ნ. ნ., სერებროვი ა. ი., ხოლიდინი ს. ა., გლაზუნოვი მ. ფ., ხლოპინი ნ. გ., შანინი ა. პ. „ავთვისებიანი სიმსივნეები“.**

წარმოადგინა სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ონკოლოგიის ინსტიტუტმა.

21. **ტურაყულოვი ი. ხ., ისლამბეკოვი რ. კ. „ფარისებრი ჯირკვლის ბიოკიმიური და კლინიკურ-მორფოლოგიური კვლევა ნორმაში თირეოიდული კათოლოგიისა და რადიოიოდთერაპიის პირობებში“.**

წარმოადგინა უზბეკეთის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ბიოლოგიის მეცნიერებათა განყოფილებამ.

22. **რაბინოვიჩი ი. მ., სინიცინი ა. პ. „ხანმოკლე და მყისი ძალების ზემოქმედებაზე დამცავ ნაგებობათა გაანგარიშების თეორია“.**

წარმოადგინა ვ. ვ. კუიბიშევის სახელობის წყალელექტროშენებლებმა სამხედრო-საინჟინრო აკადემიამ.

ტექნიკის დარგში

1. **ბუტირინი ა. ს., გროდსკი ო. გ., დოლინსკი ე. დ., ლევინი ა. ვ., სპირიდონოვი კ. ა., გრინბერგი მ. ი., კვოტერი ი. ს. „ეპპ-200-180 200.000 კილოვატი სიმძლავრის ორთქლის ტურბინა, რომლის პარამეტრებია 180 ატა, 565 გრადუსი ცელსიუსით, შუალედური გადამებურება დაასლოებით 565 გრადუსი ცელსიუსით“.**

წარმოადგინა ლენინგრადის ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

2. **იზაკსონი ხ. ი., შუმაკოვი ვ. გ., გორბაჩოვი ე. ა., ანაშკინი ა. ტ., რუმიანცევი ე. კ., მერკულოვი ა. მ., ლუტაი ნ. ვ., ივანოვი ვ. ა., სოლოდნკო გ. პ. „ვ-4 ატ ზამი კასლის თვითმავალი მარცვალასალები კომბაინების სისტემის შექმნა და მასობრივი წარმოების ორგანიზაცია სპეციალიზებულ ქარხნებში — ტბაგანროგის კომბაინის ქარხანასა და როსტოვის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებელ ქარხანაში“**

წარმოადგინეს სკკპ როსტოვის საოლქო კომიტეტმა და როსტოვის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭომ.

3. **ლიტვინოვი ი. ფ., ვახრუშევი ი. ფ., გოლუბკოვი კ. ა., მამკინი ვ. მ., ტერენტიევი ვ. ს., ანტონოვი ს. პ., დრუჟინინი, ნ. ნ. „საბლინავი მოწყობილობის შექმნა თხელი ცივადგლინული ფურცლების წარმოებისათვის“.**

წარმოადგინა სვერდლოვსკის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭომ.

4. **ლიუბავსკი კ. ვ., ნოვოყილოვი ნ. მ., დუდკო დ. ა., პოტაპოვი ა. გ., პეტროვი ა. ვ., აკულოვი ა. ი., მირონოვი ბ. ა., ბურხუტოვი ა. ნ. „მდნობარე ელექტროლითი ნახშირორჟანგში ავტომატური და ნახევრადავტომატური შედუღების ახალი პროცესის შემუშავება და მრეწველობაში დანერგვა“.**

წარმოადგინეს ტექნოლოგიისა და მანქანათმშენებლობის ცენტრალურმა სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტმა.

5. **მასკილეისონი ა. მ., ბუროვი ა. ს., გურევიჩი ა. ე., ვერნიკი ა. ბ., ბიბიკოვი პ. ვ., ოსადჩი ი. პ., მატვეევი ი. მ., „მილების უფყვეტი ღუმელური შედუღების ტიპობრივი მაღალხარისხოვანი აგრეგატის შექმნა“.**

წარმოადგინა სრულიად საკავშირო მეტალურგიული მანქანათმშენებლობის სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ინსტიტუტმა.

6. **სოროკა პ. ა., მალიაროვი ფ. მ., სოკოლოვი ა. ვ., ბულგაკოვი ს. ა., ბელოვა ვ. ფ., კოზლოვი ფ. ა., ფიალკოვი ლ. პ., ნაიშა მ. ნ., სტოვბური ვ. პ., კომბაროვი პ. ი. „ტე-3 სამაგისტრალო თბომავლების დიდსერიული წარმოების ორგანიზაცია“.**

წარმოადგინეს უკრაინის კომპარტიის ლუგანსკის საოლქო კომიტეტმა და ლუგანსკის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭომ.

7. **უსლადოვი დ. ვ., ლოტცი ი. ა., აპტერი მ. ა., ფედოროვი ვ. ი., შოროხოვი ე. ლ., მარუსევი მ. ბ. „მძლავრ ცენტრიდანულ ველებში ცილებისა და მაღალმოლეკულურ ნაერთთა პრეპარატულ-ანალიზური კვლევის მოწყობილობის კომპლექსის შექმნა და სერიულ წარმოებაში დანერგვა“.**

წარმოადგინა მოსკოვის (საქალაქო) ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ.

8. **ბახშიანი ც. ა., ბაკლაშოვი ვ. ე., ვიხმანი გ. ლ., რავიჩი მ. ბ., უშაკოვიჩი მ. მ. „უალო ჭვრის მილოვანი ღუმელები, რომელთაც პანელის სანთურის გამომსხივავი კედლები აქვთ“**

წარმოადგინა ნავთობის მანქანათმშენებლობის სახელმწიფო სამეცნიერო-საკვლევმა და საპროექტო ინსტიტუტმა.

9. **არხიპოვი გ. ს., გრუშევსკი ვ. ნ., დავიდოვი ვ. ა., კრასნოსელსკი გ. ნ., პოდობედოვი ა. ნ., სომინსკი ზ. ა., ტიხომიროვი ი. ნ. „თუჯის ჭყალსადენი მილების ნახევრადფუძეები ჩამოსხმის ტექნოლოგიის შემუშავება და სამრეწველო დანერგვა“.**

წარმოადგინეს ბელორუსიის სსრ სახალხო მეურნეობის საბჭომ, უკრაინის მილის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა და სვეიდლოვსკის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონის ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭომ.

10. **მედვედევი ბ. ი., ლატაში ი. ვ., მაქსიმოვიჩი ბ. ი., ტრეგუბენკო ა. ფ., ლეიბენზონი ს. ა., შულტე ი. ა. „სპეციალური ფოლადებისა და შენადნობთა — სახარჯი ელექტროდების ლითონურ ჭყალგასაცილებელ ბოლვში (კრისტალიზატორში) ელექტროწიდოვანი გადადნობის ხარისხის გაუმჯობესების პრინციპულად ახალი დიდად ეფექტიანი ხერხის შემუშავება და მრეწველობაში დანერგვა“.**

წარმოადგინეს უკრაინის სსრ მეცნიერებათა აკადემიის ე. ო. პატონის სახელობის ელექტროშედუღების ინსტიტუტმა და ზაპოროჟიეს, მოსკოვის (საოლქო), ჩელიაბინსკის, ვოლგოგრადისა და დონეცკის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭოებმა.

11. **სტროგანოვი კ. ვ., შეპელიკოვსკი კ. ზ., ორლოვი ი. ვ., ოგნევსკი ვ. ა., ენტინი რ. ი., გლაზკოვი პ. გ., ლეტჩფორდი ნ. ი. „ზედაპირული ჭრთობის ახალი მეთოდის შემუშავება და დანერგვა, მანქანა-აპარატებისა და სპეციალური ნახშირორჟანგოვანი ფოლადის გამის შექმნა, რომლებიც ცვლიან ლეგირებულ ფოლადს და ქიმიურ-თერმული დამუშავების პროცესებს“.**

წარმოადგინეს მოსკოვის (საქალაქო) ეკონომიური რაიონის სახალხო მეურნეობის საბჭომ და კუზნეცკის მეტალურგიულმა კომბინატმა.

12. **ზუბაკოვი ს. მ., შევცოვი ე. ი., პრიკალოვი მ. მ., მოგილევცევი ი. გ., შირინინი ი. ა., ნეჩკინი მ. გ., ფილატოვი ვ. პ., ბარეშნიკოვი გ. ი., სემიონენკო პ. პ., ბედრიკი ი. ა. ბასიასი ი. პ., ბრონი ვ. ა. „შემუშავება და დანერგვა ქვედის ყალიბების ახალი ტექნოლოგიისა, რომლითაც უზრუნველყოფს მარტენის ღუმელების მწარმოებლობის გადიდებას“.**

წარმოადგინეს სვერდლოვსკისა და ყარაგანდის ეკონომიური ადმინისტრაციული რაიონების ყოფილმა სახალხო მეურნეობის საბჭოებმა.

13. **ბაიბაკოვი ნ. კ., ანისიმოვი ა. ი., არუთინოვი ა. ი., ბრაგინი ვ. ა., ვოლკი ა. ლ., დინკოვი ვ. ა., დუბოვიცკი ვ. ი., ზადოვი ა. გ., ყარაევი ა. ო., სიდორენკო მ. ვ., სიდოროვი ნ. ა., ხარლამოვი გ. ა. „ბაზისა და ბაზ-კონდენსატის საბადოთა ბურღვისა და ექსპლოატაციის პრობლემის კომპლექსური გადაჭრა“.**

წარმოადგინეს სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს საბადოების მრეწველობის სახელმწიფო კომიტეტმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოსთან არსებულმა გაზის მრეწველობის მთავარმა სამმართველომ და ნავთობისა და გაზის მრეწველობის სამეცნიერო-ტექნიკური საზოგადოების ცენტრალურმა გამგეობამ.

14. **მელნიკოვი ნ. ვ., მარჩენკო ლ. ნ., კუდრიაშოვი ვ. ს. „მეთოდი აფეთქების მარცი მუშაობის გადიდებისა და სასარგებლო ფიაღილეულის საბადოთა დამუშავების დროს“.**

წარმოადგინა ა. ა. სკოჩინსკის სახელობის სამთო საქმის ინსტიტუტმა.

15. **ზუევი ვ. პ., სუროვიკინი ვ. ფ., საულინა ვ. ვ., ტესლერი პ. ა., გლიბილი ა. პ., კელნი ა. რ., მარიხინა ე. პ., ოკოვი ა. კ. „თხევადი ნახშირწყალბადისაგან პმ-70 ღუმელური აქტიური მაღალისპერსიული ფუნის მიღების პროცესისა და სამრეწველო ტექნოლოგიის შემუშავება“.**

წარმოადგინა სალტის მრეწველობის სამეცნიერო-საკვლევმა ინსტიტუტმა.

16. **ეგერევი ვ. ს., კუბასოვი ვ. ს., ნოვიკოვი ფ. ა., პალუი ბ. ვ., პოკროვსკი ი. ა., ხაჟაკიანი მ. ნ., ინოვი ი. ი. „პიროვნართა და მოსწავლეთა სასასხლო შექმნა ლენინის გორაზე“.**

წარმოადგინეს მოსკოვის საქალაქო საბჭოს ეკონომიურ-ადმინისტრაციული რაიონის ყოფილმა „მოსავლიანობა“, არქიტექტურულ-გეგმარებითი ბიუროს „მოსგორმოსკოვმშენმა“, არქიტექტურულ-გეგმარებითი ბიუროს „ინჟინერ-ტექნიკური ინსტიტუტების“ [illegible]

ბაზაფხულის თბილი დღეები დგას აჭარაში. ბათუმის ბაღებსა და პარკებში ყვავილებით იმოსება ხეები. **სურათზე:** გეოფიზიკოსი ნ. ნიფარაძე და ექიმი ლ. მეგანაძე აყვავებულ მაგნოლიის ხესთან.

ფოტო ნ. ანასტასიევისა (საქდესის ფოტოქრონიკა).

ქართველ კომპოზიტორთა სტუმრები

ცნობილი თურქი კომპოზიტორები უმვი ჯემალ ერკინი და აჰმად ადამან საიგუნი მეუღლითურთ იყვნენ თბილისში, ისინი შეხვდნენ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის მდივანს, სსრ კავშირის სახალხო არტისტს ა. მაჭავარიანსა და მუსიკალური კულტურის სხვა მოღვაწეებს.

თურქი სტუმრები დიდად დაინტერესდნენ ქართველი კომპოზიტორების შემოქმედებით. მათ უამბეს, თუ ვინ იყვნენ ეროვნული კლასიკური მუსიკის ფუძემდებლები, როგორ ვითარდება მუსიკალური კულტურა საქართველოში.

თბილისიდან თურქი კომპოზიტორები გაემგზავრნენ ბაქოში, სადაც გამართავენ საავტორო კონცერტებს. (საქდესი).

□

გათუმიდან საზღვარგარეთ

ბათუმი. (საკ. კორ.). ყოველწლიურად იზრდება ნავთობპროდუქტების გატანა ბათუმიდან. მარტო შარშან რამდენმე ასეული ათასი ტონა ნავთობპროდუქტები იქნა გატანილი, ვიდრე 1961 წელს.

გასულ წელს 590-მდე საბჭოთა და საზღვარგარეთის ტანკერი გავიდა ბათუმის ნავსადგურიდან სხვადასხვა მიმართულებით.

კიდევ უფრო გაიზარდა ტვირთბრუნვა 1963 წელს. მარტო იანვარში ბათუმის ნავსადგურმა მიიღო 50-მდე ტანკერი, რომლებმაც წაიღეს ტვირთები სახალხო დემოკრატიის ქვეყნებში, არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, ინგლისში, გვინეაში, იაპონიაში, ისლანდიასა და კუბაში.

შვილებმა არ აპატიეს მამას

პირველი სექტემბრის ცინცხალი დილა, მოლიმარე სახეები. სკოლის ახმაურებული ეზო, დერეფნები, საკლასო ოთახები, პირველი ზარი, თმაშეკერილი დამრიგებლის პირველი გაკვეთილი. მერხებიდან მკვირცხლად დგებიან მოსწავლეები, მზედაკრულ სახეებზე ღიმილი უთამაშებთ, სხაპასხუპით ჰყვებიან ზაფხულის შთაბეჭდილებებს.

აი ის ბაფთიანი გოგონა ამ ზაფხულს ბახმაროში ყოფილა, ხოლო მის გვერდით შავტუხა ბიჭი რომ ზის, ზაფხული ზღვის პირას, ქობულეთში გაუტარებია. თამარი, დარეჯანი, მეფიკო, ოთარი, გივი ბიონერთა ბანაკებში ისვენებდნენ. ავთანდილი სოფელში წაყიდა ბებიასთან. იქ ახალი მეგობრები გაიჩინა, ჰერბარიუმი შეაგროვა. ხალისით ჰყვებოდნენ თავიანთ შთაბეჭდილებებზე თამარი, მზია, რეზო, არჩილი...

ჯერი ეუეუნაზე მიდგა. ფერი ეცვალა გოგონას. ძლივს, უხალისოდ წამოდგა. თვალებში გაბუნდოვანდა მასწავლებელი, ამხანაგები, მერხები, დაფა, მაგიდა... თავი ჩაღუნა, შერცხვა. მას ყველაზე მეტი სათქმელი ჰქონდა, არა მხიარული, კეთილად მოსაგონარი. არამედ სევდიანი, რომელსაც მისი ნორჩი გული დაეჩხვლეტა. უხერხულობიდან ზარის წკრიალმა იხსნა. გაკვეთილი დამთავრდა...

რატომ იყო ეუეუნა მოწყენილი?

აი მისი დღიურის 31 აგვისტოს ფურცელი:

ხვალ პირველი სექტემბერია, ჩვენი ზეიმის დღეა. იწყება ახალი სასწავლო წელი. ცა ვარსკვლავებით არის მოჭედილი. შემოდგომის მზიანი, ციმციმა დილა გათენდება. ალბათ ბუნებაც ხელს შეუწყობს ჩემი ტოლების საზეიმო განწყობილებას, სიხარულს. მაგრამ ჩემთვის და ჩემი ორი დისათვის რა მოაქვს ხვალინდელ დღეს სასიხარულო?..

ვფიქრობ ავადმყოფ დედაზე, უფროს და უმცროს დებზე, ჩემს საკუთარ თავზეც. რა დღეში ჩაგვაყენა მამამ, როგორ გაგვაცვალა იმ „ქალზე“. მას დედაჩემი ხომ მოტაცებული ჰყავდა. მასთან ცხრა-მეტი წელი იცხოვრა და ახლა, როდესაც მძიმე ავადმყოფი შეიქნა, მაშინ მიგვატოვა. რა ვუყოთ, რომ დედა მძიმე ავადმყოფი გახდა. რა მოხდა! შეიძლება ყველა ადამიანი გახდეს ავად. ექიმებმა დედას მოაცილეს წყეული სიმსივნე. მისი შემდგომი სიცოცხლისათვის საჭირო იყო სულიერი სიმშვიდე. ჩვენი საქციელით შვილები ვცდილობდით დედას ეს დიდი სულიერი ტკივილა გადაეტანა. საბედნიეროდ ეს ასე მოხდა, ჩვენი დედა ცოცხალია და იმედი გვაქვს, რომ ჩვენი სიყვარულით კიდევ იცოცხლებს.

მე ხვალ ჩვეულებრივად წავალ სკოლაში, ნაცნობი ზარი მიმიხმობს სკოლისაკენ. გაბზარული გულით შევაღებ სკოლის კარს. ბეჯითად ვისწავლი, მაგრამ ვიფიქრებ დედაზე, ოჯახზე და გულში მაინც მწუხრი დასაღგურებს. ეს მწუხრი მამის აჩრდილი იქნება.

ვინ არის ის კაცი, რომელმაც ასეთი დიდი ტკივილი მიაყენა ეუეუნას პატარა გულს?

ეს მისი მამა გახლავთ.

საბჭოთა ხალხს საომარი-სასიცოცხლო ომი ჰქონდა გამართული ფაშისტ დამპყრობლებთან. გიორგი ტატეს-ძე ვადაკოორია ლანჩხუთის რაიონის სოფელ ლამისღელის სასოფლო საბჭოს მდივნად, ხოლო ტატიანა მიხეილის ასული წოლოსანი სოფლების ლაშისღელისა და აგარაკის უბნის აგრონომად მუშაობდა. მაშინ მოუვიდა გიორგის თვალში ტატიანა.

— ცივ ნიავს არ მოგაკარებ, გენაცვალე, სალოცავ ხატად გაგიხდი. „კუბოს კარამდე შენი ერთგული ვიქნები, — ეფიცებოდა გიორგი ტატიანას. ქალიშვილი მაინც ყოყმანობდა...

ერთ საღამოს ჩოჩქოლი ატყდა წოლოსნების ოჯახში. ტატიანა შინ არ დაბრუნდა. იგი გიორგი ვადაკოორიამ მოიტაცა.

გავიდა დღეები. გიორგიმ და ტატიანამ შექმნეს ოჯახი. მართლაც მზრუნველი ქმარი გამოდგა გიორგი ვადაკოორია. ოჯახი გაახარა პირველი ქალიშვილის იათამზეს დაბადებამ. იმრავლა ვადაკოორიების ოჯახმა: შეეძინათ ეუეუნა, გუგული.

გიორგი ვადაკოორია ლანჩხუთის საკოლმეურნეობათაშორისო სამშენებლო საბჭოში საწყობის გამგედ მუშაობდა. ცხრამეტ წელს იცხოვრა გიორგიმ თავის ცოლ-შვილთან. ავად გახდა ტატიანა, სიმსივნე აღმოაჩნდა თავის არეში.

აიმრიზა გიორგი. რათ მინდა ავადმყოფი ცოლი. ღრმა ახალი ვეძიო. არ წასულა შორს. იქვე მასთან მოლარედ მუშაობდა აპაჩიკო კვირკველია. შეათვალიერა თავისი დულცინე. მიუხედნენ ერთმანეთს, დაინთო „სიყვარულის“ ცეცხლი...

გათხოვდა უფროსი ქალიშვილი იათამზე. იფიქრეს, ახალი მოყვრების ხათრით, მომავალი შვილიშვილის სიყვარულით მაინც მოუბრუნდება გიორგის გული ოჯახზეო. მაგრამ თქვენც არ მომიკვდეთ, უფრო გაჯიქდა. დაკრა ფეხი და თავის დულცინესთან ერთად მიატოვა ლანჩხუთი.

კომუნისტისათვის შეუფერებელი საქციელი ჩაიდინა გიორგი ვადაკოორიამ. მის შესახებ იმსჯელა პირველადა პარტიულმა ორგანიზაციამ. კრებაზე წარბიც არ შეიხარა დაგვიანებულმა მიჯნურმა. ქვა ააგდო და თავი შეუშვირა. ამტკიცებდა, რომ იგი მართალი და პატიოსანი ადამიანია, რომ მისი მეუღლე ჯიუტი, ეკონომიურად დიდი მოთხოვნილება აქვს.

ავადმყოფმა ქალმა სამკურნალოდ წასასვლელი გზის ფული მეზობლისგან რომ ისესხოს და მერე ვალის გასასტუმრებლად თვეობით აგროკოს პენსია, თუ რომე ეს ყოფილა დიდი მოთხოვნილება.

კრებაზე გამოსულმა ამხანაგებმა სასტიკი დასკვა მოითხოვეს, მაგრამ გიორგი ვადაკოორიას საყვედური აკმარეს. პარტიის ლანჩხუთის რაიკომის ბიურომ განიხილა საყვარულის მაგიური სენით შეპყრობილის საქმე. აღნიშნეს, რომ ლმობიერი იყო გიორგი ვადაკოორიასადმი. ბიურომ ეს ასკვნა, ამიტომ მას სასტიკი საყვედური გამოუტანეს საალრიცხვო ბარათში შეტანით.

ახალი ხილი როდია გიორგი ვადაკოორიასათვის რაიკომის ბიუროზე გამოძახება. „ნანახია ბიუროს“ მას საყვედური საწყალი [illegible] [illegible] [illegible]